საქართველოს პოლიტიკურ–ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილება ივანე ჯავახიშვილის 1922 წლის „საქართველოს რესპუბლიკის რუკის" მიხედვით

მანანა კვეტენაძე

ელ. ფოსტა/E-mail: mananakvetenadze@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია პოლიტიკურ–ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილება ივანე ჯავახიშვილის 1922 წლის „საქართველოს რესპუბლიკის რუკის" მიხედვით. კვლევის საფუძველზე დადგინდა საქართველოს ტერიტორიისა და საზღვრის ცვლილება გასაბჭოებამდე და მის შემდგომ.

დიდ ინტერესს იწვევს რუკაზე დატანილი საქართველოს ძველი და ახალი საზღვრები. ახალი საზღვარი ასახავს 1922 წლის მდგომარეობას, გასაბჭოების შემდგომ. არც ამ რუკაზე და არც სხვა შრომებში ივ.ჯავახიშვილი არ საუბრობს, თუ რას გულისხმობს ის ძველ საზღვრებში, თუმცა ცხადია, რომ ეს არის 1921 წლამდე, გასაბჭოებამდელი საზღვარი - ე.ი. იმ პერიოდამდე, სანამ საქართველოს შემადგენლობაში იყო ისტორიული ტაო, ზაქათალა, ლორე, ყარაია.

გეოგრაფიულ-კარტომეტრიული თვალსაზრისით ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი საქართველოს საზღვრები, აგრეთვე განხორციელდა კვლევის შედეგების შედარება: 1) საბჭოთა ტოპოგრაფიულ რუკებზე გავლებულ საზღვრის კონტურთან, რისთვისაც გამოყენებულია 100,000; 50,000 და 25,000 რუკები; 2) ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული") მიხედვით.